თურქული ფილოლოგია (Turkish Philology)
MA

სავალდებულო კურსები
(Compulsorily courses)

1. *თურქოლოგიური ენათმეცნიერება*
   Turkological Linguistics

კურსი შეისწავლის მე-20 საუკუნეში შექმნილ თურქოლოგიურ საენათმეცნიერო ლიტერატურას, რომლის ავტორებიც არიან როგორც უცხოელი მკვლევრები, ასევე თურქი ენათმეცნიერები. მაგისტრანტები გაეცნობიან თანამედროვე საენათმეცნიერო შეხედულებების რაკურსში თურქულ ენათა შესწავლის პრობლემურ საკითხებს.

2. *თურქულ ენათა შედარებითი გრამატიკა 1*
   Comparative Grammer of the Turkic Languages 1

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან თურქულ ენათა (თურქული, აზერბაიჯანული, თურქმენული, გაგაუზური) გენეტიკური კლასიფიკაციის პრინციპებსა და ვარიანტებს, აღნიშნული ენების ფონეტიკის, ფონოლოგიისა და მორფოლოგიის საკვანძო საკითხებს.

3. *თურქულ ენათა შედარებითი გრამატიკა 2*
   Comparative Grammer of the Turkic Languages 2

კურსის მსვლელობისას სტუდენტები გაეცნობიან თურქულ ენათა სინტაქსის საკვანძო საკითხებს, როგორიცაა წინადადებათა ტიპები, სიტყვათა დომინანტური რიგი თურქული წინადადებებში და სხვ.; ასევე შეისწავლიან თურქულ ენათა ტიპოლოგიურ მახასიათებლებს.

4. *სპეცკურსი თურქულ ენაში*
   The Special Course of Turkish Language

Kკურსის ფარგლებში სტუდენტები განიმტკიცებენ ბაკალავრიატში მიღებულ ცოდნას (თურქული ენა 1–7), სიღრმისეულად შეისწავლიან თურქული ენის ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიის, მორფოსინტაქსისა და სინტაქსის საკვანძო საკითხებს; გაეცნობიან ახალი თურქული ენის ნორმებს, დამკვიდრებულ ფორმებსა და უახლოეს ენობრივ ცვლილებებს.

5. *სპეცკურსი თურქულ ლიტერატურაში*
   Special course in Turkish Literature

კურსი გულისხმობს მაგისტრანტთათვის სისტემური ცოდნის მიწოდებას ძველი, ახალი და უახლესი თურქული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციებისა და მიმართულებების შესახებ; განხილული იქნება თურქულ ლიტერატურაზე დასავლური ლიტერატურის გავლენები და კლასიკური თურქული ლიტერატურული მემკვიდრეობის კვალი.

6. *თურქული პრესის ენა*
   Language of Turkish press

კურსის მსვლელობისას მაგისტრანტები შეისწავლიან თურქული პრესისა და მასმედიის საშუალებებში მიღებულ ენის ნორმებს, დამკვიდრებულ მყარ ფორმებსა და სტილს. სათანადო თურქული ლექსიკისა და ენობრივი კლიშეების ათვისების გარდა, სტუდენტი გაეცნობა ტერმინოლოგიას საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა სფეროდან, დაეუფლება თურქული საგაზეთო პუბლიკაციის ქართულად თარგმნის თავისებურებებს.

7. *ოსმალური ენა*
   Ottoman Turkish Language

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან არაბულ გრაფიკას, კონსონანტთა გადაბმის წესებს, ხმოვანთა სისტემას, მიიღებენ საბაზისო ცოდნას ოსმალური ენის ფონეტიკა–ფონოლოგიში, მორფოლოგიასა და სინტაქსში. კურსის ბოლოს გათვალისწინებულია ოსმალურად მცირე ფორმატის ტექსტების კითხვა და თარგმნა.

8. *საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები*
   The Ottoman Sources of History of Georgia

კურსის მსველობისას სტუდენტი გაეცნობა ოსმალურ ენაზე შესრულებულ ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებს საქართველოს შესახებ (XV-XIX სს.); ასევე, ოსმალო სულთნების სიგელებს, თბილისის ყადის ჰუჯათებს და იერუსალიმის ქართული კოლონიის ოსმალური საბუთებს.

9. *ოსმალური დიპლომატიკა და პალეოგრაფია*
   Study of Ottoman Diplomacy and Paleography

კურსის ამოცანაა შეასწავლოს სტუდენტებს არაბული გრაფიკის ყველა ის სახეობა, რომლითაც წერდნენ ოსმალეთში ლათინურ ანბანზე გადასვლამდე (1928 წ.), ესენია: ნასხი, რიკა, თალიკი, ნასთალიკი, დივანი, სიაკათი და ა.შ. ამასთანავე, მაგისტრანტები გაეცნობიან კალიგრაფიულ დინასტიებს ოსმალეთში.

10. *თურქული სამეტყველო ეტიკეტი და ოფიციალურ-საქმიანი სტილი*
    Speech etiquette and official business style of Turkish language

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან და გაითავისებენ თურქული მეტყველების ისეთი კომპონენტებს, როგორიცაა დღევანდელ თურქულში არსებული ლიტერატურული და სამაუწყებლო ენა, რიტუალური, საეტიკეტო მოდელები, მათ პროფესიურ დონეზე გამოყენება, ენაში მიღებული ეტიკეტისა და ქცევის ნორმები.

11. თურქული ფილოსოფიური პოეზია; რელიგიურ–მისტიკური თხზულებები
Turkish Philosophical Poetry; Religious-Mistical writings

სასწავლო კურსში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მისტიკურ-ფილოსოფიური მოძღვრების, კერძოდ, სუფიზმის კარდინალური პრობლემების შესწავლას, რომელმაც შექმნა მახლობელი აღმოსავლეთის შუასაუკუნეების მსოფლმხედველობრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური სისტემის საფუძველი.

12. ლექსმცოდნეობის ანალიზის პრინციპები და თურქული პოეტიკა
The principles of Verse analysis and Turkish Poetry

კურსი შეისწავლის შუასაუკუნეების თურქული და, საერთოდ, აღმოსავლეთის პოეზიის ტიპურ სტრუქტურათა სისტემას, ზოგად მხატვრულ მოდელს. ტიპოლოგიურ ჭრილში განიხილება საერთო მუდმივი სიდიდეები, ინვარიანტული ელემენტები, რომლებიც საერთოა შუასაუკუნეების აღმოსავლური (არაბული, სპარსული, თურქული, აზერბაიჯანული და მისთ.) დივანის ლიტერატურისთვის.

არჩევითი კურსები
(Optional Courses)

1. *თურქეთის სახელმწიფო წყობილება და სამართალი*
The State System and Law of Turkey

კურსის ფარგლებში სტუდენტები გააცნობიან და შეისწავლიან თურქეთის სახელმწიფო წყობილებისა და სამართლის ისტორიის საკითხებს ოსმალეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებიდან უახლესი პერიოდის ჩათვლით.

2. *თურქეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების თავისებურებანი*
The Peculiarities of Social-Political development of Turkey

კურსი შეისწავლის თურქეთის რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების თავისებურებებს. მაგისტრანტები გაეცნობიან ქვეყნის საგარეო ურთიერთობების პრიორიტეტულ მიმართულებებს, თურქეთის დემოკრატიული განვითარების თავისებურებებს, ისლამის როლს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთირეთობების განვითარების პერსპექტივებს.

3. *თურქული მიგრაცია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ*
Turkish migration to Western Europe Countries after World War II

კურსი შეისწავლის დასავლეთ ევროპაში, ავსტრალიაში, სკანდინავიაში, რუსეთსა და სხვ. ქვეყნებში არსებულ თურქულ დიასპორებთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორიცაა თურქების ადაპტაცია ცხოვრების ახალ წესებთან, შრომის განსხვავებულ პირობებთან და

ნორმებთან, უცხო ენების შესწავლა და უცხო კულტურული სტანდარტების მიღება, ეროვნული და რელიგიური იდენტობის პრობლემები.

4. *თანამედროვე თურქული სალიტერატურო ენის ლექსიკის განვითარების ეტაპები*
   The development stages of vocabulary in modern Turkish literary language

კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს ის ხანგრძლივი და რთული სამუშაო, რომელიც მიმდინარეობს თურქეთში ენის რეფორმის /Dil Devrimi/ სახელწოდებით და რომლის მიზანიცაა თურქული სალიტერატურო ენის „გათავისუფლება“ უცხო /არაბულ-სპარსული/ ლექსიკურ-გრამატიკული ელემენტებისაგან, რომლებიც საუკუნეების მანძილზე დამკვიდრდნენ ენაში.

5. *თურქული დრამატურგია*
   Turkish Dramatic Art

კურსის ფარგლებში სტუდენტი გაეცნობა თურქული დრამატურგიის იმ უმთავრეს ჟანრებს, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია ამ დარგისათვის; ჯეროვანი წარმოდგენა შეექმნება თურქეთში თეატრისა და თეატრალური ხელოვნების შესახებ როგორც წარსულში, ასევე თანამედროვე ეპოქაში. ამასთანავე, მაგისტრანტი ორიგინალში გაეცნობა თურქი დრამატურგების პიესებს.

6. *თურქული ფრაზეოლოგია*
   Turkish Phraseology

კურსი შეისწავლის თურქული ფრაზეოლოგიის პრობლემატიკას, ფრაზეოლოგიზმთა სემანტიკურ სტრუქტურას. მოხდება თეორიული საკითხების დამუშავება, თურქულ ფრაზეოლოგიზმთა სიტუაციურ-კონტექსტური ანალიზი, თურქულ-ქართულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შედარებითი განხილვა.

7. *თურქეთის ეთნოლოგია, კულტურა და მხარეთმცოდნეობა*
   Ethnology, Culture and the Study of local history of Turkey

კურსი შეისწავლის თურქეთის ეთნოლოგიას ისტორიულ, ეთნოგენეტიკურ, ეთნორელიგიურ და ეთნოკულტურულ ასპექტში. სტუდენტები გაეცნობიან თურქი ხალხის სულიერი, მატერიალური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროს.

8. თურქული დიალექტოლოგია და არეალისტიკა
   Turkish Dialectology and Areal Studies

კურსი შეისწავლის თურქულ ენათა დიალექტებს, მათი გავრცელების არეალს, დიალექტთა კლასიფიკაციას. სტუდენტები გაეცნობიან კავკასიის თურქულ ენათა (ყარაჩაული, ბალყარული, ყუმუხური, ნოღაური) ძირითად მახასიათებლებს და მათ კავშირებს ანატოლიური თურქული დიალექტებთან ფონოლოგიის, მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროში.

9. *ტრადიცია და თანამედროვეობა თურქულ ლიტერატურაში*
   Tradition and Modernity in Turkish Literature

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები გაიღრმავებენ ბაკალავრიატში მიღებულ ცოდნას თურქულ ლიტერატურაში; განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა თურქული ლიტერატურის ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხების განხილვას.

10. *თურქიზმები ქართველურ არეალში*
    The Turkish loan words in Kartvelian area

კურსის ამოცანაა ქართველურ დიალექტებსა თუ ქართულ სალიტერატურო ენაში კონკრეტულ ისტორიულ ჭრილში, დადასტურებული თურქული წარმომავლობის ლექსემათა შესწავლა, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ანატოლიელ თურქებთან, აზერბაიჯანელებთან, ყუმუხებთან, ნოღაელებთან, ყარაჩაელებსა და ბალყარებთან, არამედ გადაშენებულ ჰუნებთან, ხაზარებსა და ყივჩაღებთან სხვადასხვა სახის კონტაქტების შედეგად დამკვიდრებული სიტყვების გამოვლენას.

11. *ისლამური ფუნდამენტალიზმი*
    Islamic Fundamentalism
    (კურსის ანოტაცია იხილეთ ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის კურსების კატალოგში)

12. *საქართველოსა და ისლამური სამყაროს ურთიერთობა*
    The Relations between Georgia and the Islamic World
    (კურსის ანოტაცია იხილეთ ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის კურსების კატალოგში)

13. *პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული პროცესები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში /ახალი და უახლესი პერიოდი/.*
    The Political, Social-Economic and Cultural Processes in the Near East (Modern and Contemporary Period)
    (კურსის ანოტაცია იხილეთ ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის კურსების კატალოგში)

14. *აღმოსავლეთი და დასავლეთი ახალ და უახლეს ხანაში*
    East and West in the Modern and Contemporary period
    (კურსის ანოტაცია იხილეთ ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის კურსების კატალოგში)

15. *შარიათი*
    Shariat
    (კურსის ანოტაცია იხილეთ არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამის კურსების კატალოგში)